არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

ბილეთის ფორმატი

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად სტუდენტმა უნდა ჩააბაროს წერითი სასპეციალიზაციო გამოცდა არაბულ ენაში.

ბილეთი შედგება 4 საკითხისგან, თითოეული საკითხი თანაბარქულიანია (25 ქულა). მაქსიმალური ჯამური შეფასება შეადგენს 100 ქულას (100%).

ბილეთებში თეორიული საკითხების გარდა შედის თარგმანი არაბულიდან ქართულად და პირუკუ ქართულიდან არაბულად. სათარგმნად ტექსტები შეირჩევა არაბული და ქართული პრესიდან იმ საშუალო სირთულის სტატიებიდან, რომლის მსგავსი ტექსტების თარგმანებს სტუდენტები ასრულებენ არაბული ენის 6 და 7 სემესტრებში, ასევე სათარჯიმნო პრაქტიკუმის ფარგლებში.

საგამოცდო საკითხები:

1. ძირითადი ცნობები სემიტური ენების შესახებ. სემიტურ ენათა კლასიფიკაცია და ერთმანეთთან მათი დამოკიდებულების საკითხი. არაბულის ადგილი სემიტურ ენათა შორის.
2. ე.წ. სამთანხმოვნიანი ზმნები. ძირითადი ფორმების წარმოება: პერფექტივი, იმპერფექტივი. კილოები: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი.
3. ნაწარმოები თემები.
4. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი).
5. მიმღეობა (მოქმედებითი, ვნებითი).
6. მასდარი (ინფინიტივი).
7. ცარიელი ზმნები. პერფექტივი, იმპერფექტივი. კილოები: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი).
8. ჰამზიანი ზმნები. პერფექტივი, იმპერფექტივი. კილოები: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი).
9. ბოლო სუსტთანხმოვნიანი ზმნები. პერფექტივი, იმპერფექტივი. კილოები: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი).
10. გემინირებული ზმნები. პერფექტივი, იმპერფექტივი. კილოები: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი).
11. სუსტი ზმნები I ძირეულით "ვავი". პერფექტივი, იმპერფექტივი. კილოები: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი).
12. თავისებური – ფორმანაკლი ზმნები.
13. ადგილისა და დროის სახელები. იარაღის სახელები.
14. სახელის სქესი (მამრობითი და მდედრობითი). სქესი ზედსართავ და არსებით სახელებში. საერთო სქესის სახელები. სქესის წარმოება აფიქსაციით და შინაგანი ფლექსიით.
15. სახელთა რიცხვის წარმოება. მხოლობითი, ორობითი, მრავლობითი. სუფიქსური (სწორი) და მსხვრეული (შინაგანი) მრავლობითი.
16. სახელთა ბრუნება. უბრუნველი სახელები; სამბრუნვიანი და ორბრუნვიანი სახელები.
17. სტატუსის კატეგორია. სახელის განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმები. სემანტიკური განსაზღვრულობა. მსაზღვრელი ნაწილაკი (არტიკლი); თენვინი.
18. ელატივი – ზედსართავი სახელის შედარებითი და აღმატებითი ხარისხი.
19. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი რიცხვითი სახელი. აღსარიცხ სახელთან შეთანხმების წესები სხვადასხვა დეკადის რაოდენობით რიცხვით სახელებთან.

რიგობითი რიცხვითი სახელი. რიგობითი რიცხვითი სახელი მსაზღვრელად. წილადი რიცხვითი სახელი.

20. ნომინალი წინადადება.
21. ვერბალი წინადადება. ქვემდებარე და შემასმენელი. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის და სქესის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. მაია ანდრონიკაშვილი, ნინო ანთიძე-კახიანი, დარეჯან გარდავაძე, *თანამედროვე სალიტერატურო არაბული ენის სახელმძღვანელო.* თბილისი, 2010.
2. თ. მარგველაშვილი, ლექსიკურ-გრამატიკული განმარტებანი გიორგი წერეთლის „არაბული ქრესტომათიისათვის“, თსუ, თბილისი, 1981.
3. ა. ლეკიაშვილი, არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმები. თბილისი, 1953.
4. ა. ლეკიაშვილი, სახელის სქესისა და რიცხვის წარმოება სემიტურ ენებში. თბილისი, 1963.
5. ა. ლეკიაშვილი, ბრუნვათა სისტემა სემიტურ ენებში. თბილისი, 1970.
6. ა. ლეკიაშვილი, არაბული ენა. თბილისი, 1977.
7. გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიათა კრებული, I. თბილისი, 1947.
8. Юшманов Н.В., Грамматика арабского литературного языка, Ленинград, 1928.
9. Brockelmann C., Arabische Grammatik, Leipzig, 1953.
10. Wright W., A Grammar of the Arabic Language I-II, Cambridge, 1971.
11. Lehrbuch des modernen Arabisch. Günther Krahl, Wolfgang Reuschel, Eckehard Schulz. Neue Ausgabe. Langenscheidt, Verlag Enzyklopädie Leipzig, berlin, munchen, 1995.

კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. აპოლონ სილაგაძეს

ელ.ფოსტა: apolon.silagadze@tsu.ge